



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

09/07/2021

N 34

თბილისი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ობლიგაციების ემისიის საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტების დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის №13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) 3,000,000 (სამი მილიონი) ევროს მთლიანი ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციების ემისიის საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და დამტკიცებული შეთავაზების პირობების დოკუმენტის საფუძველზე ობლიგაციებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700604020.
2. დამტკიცდეს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 12,000,000 (თორმეტი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციების ემისიის საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და დამტკიცებული შეთავაზების პირობების დოკუმენტის საფუძველზე

ობლიგაციებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700604038.

3. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
4. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

არჩილ მესტვირიშვილი



პრეზიდენტი - მ.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკი

